სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

27 ოქტომბერი 2023 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 156

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2023 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანების „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2023 წლის კონკურსის გამოცხადების შესახებ" - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 22 აგვისტოს N136 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პრაგრამა და პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 27 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (N1452094) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2023 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას პროექტების ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2023 წლის 27 ოქტომბრის N156 ბრძანებით

2023 წლის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა
1	MR-23-1104	ძაღლის ჭირის ვირუსის(CDV) გენეტიკური ვარიაციები თბილისის პოპულაციაში	საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის თ.კ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
2	MR-23-630	საქართველოს კარსტულ მასივებში გავრცელებული ცრუმორიელების (Pseudoscorpiones) მრავალფეროვნების კვლევა კომპლექსური ტაქსონომიური მეთოდებით	უცხოეთის მოქალაქე კონსულტანტის კ.ჰ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის №130/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი და კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
3	MR-23-238	ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანობის კვლევა საზოგადოებრივ ურთიერთობებში	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის №130/ნ ბრძანების მე-4 მუხლის ,,ე" პუნქტით დადგენილი მოთხოვნა და კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა - წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი გ. კ. ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.
4	MR-23-452	ინკლუზიური მუზეუმი: სამუზეუმო სერვისები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე აუდიტორიისთვის	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის №130/ნ ბრძანების მე-4 მუხლის ,,ე" პუნქტით დადგენილი მოთხოვნა და კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა - წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ლ. ქ. ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.